

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უნივერსიტეტი



პროფესორ-მასწავლებელთა განვითარების
ცენტრის

დებულება

განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:

ოქმი N..... 201_წ.

დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე:

ოქმი N 201_წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე :

თელავი

201_

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. გამომდინარე იქიდან, რომ სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა: „უმაღლესი განათლების სამივე საფეხურსა და პროფესიულ სწავლებაში თანამედროვე მეთოდებზე ორიენტირებული სწავლისა და სწავლების დანერგვით, აკადემიური, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა: ქვეყნის შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება სხვადასხვა მიმართულებით; რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცოდნის შექმნა, დაგროვება და გაზიარება აგრარული მეცნიერებების მიმართულებით, რეგიონის განვითარებისათვის ტურიზმის მიმართულების გაძლიერება და განათლების მიმართულების განვითარების ხელშეწყობა. საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება; მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობი ღონისძიებების ორგანიზება და განათლების ინტერნაციონალიზაცია“, მისიით დასახული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთი მიზანია პროფესორ-მასწავლებლების თანამედროვე და ინოვაციური სწავლა-სწავლების უნარების განვითარება. გამომდინარე აქედან უნივერსიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს განათლების მიმართულების გაძლიერება და პროფესორ-მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის შექმნა.

2.სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) „პროფესორ-მასწავლებელთა განვითარების ცენტრი“ (შემდგომში- ცენტრი) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს;

2.ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა დაწინამდებარე დებულებით.

მუხლი 2.ცენტრისმიზნები, ამოცანები და ფუნქციები

1.უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, Erasmus+ -ის საგრანტო პროექტის(Erasmus+ CBHE Programme-ის საგრანტო პროექტის „PRINTEL“-585760-EPP-1-2017-1-AM-EPPKA2-CBHE-JP)„ცვლილება საკლასო ოთახში: ინოვაციურისწავლებისა და სწავლის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სტუდენტის სწავლის

გამოცდილების გაღრმავების მიზნით") მიზნებისა და ამოცანების შესრულება პროფესორ-მასწავლებლების თანამედროვე და ინოვაციური სწავლების განვითარების მიმართულებით;

2. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების მიზნით ინოვაციური პროექტების და ტრენინგ კურსების მომზადება/განხორციელება;

3. უმაღლესი განათლების სასწავლო პროგრამების შედეგების შეფასების თანამედროვე ინოვაციური მეთოდების მოძიება/შემუშავება და მათი შეთავაზება უნივერსიტეტის ფაკულტეტებისთვის;

4. ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში დონორი ორგანიზაციების მოძიება და მათთან თანამშრომლობის დამყარების ხელშეწყობა უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული გადამზადების და კომპეტენციების ამაღლების მიზნით;

5. ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთათვის მხარდაჭერა ინდივიდუალური, ინოვაციური პროექტების განხორციელების მიზნით;

6. პროფესორ-მასწავლებელთა ინფორმირება უნივერსიტეტის შიგნით და გარეთ დაგეგმილი პროექტების შესახებ და მათი ჩართულობის ხელშეწყობა;

7. პროფესორ-მასწავლებელთა სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებისა და განათლების კომერციალიზაციის მიზნით შესაბამისი პროექტების მოძიება/განხორციელება;

8. უნივერსიტეტში დაგროვილი ცოდნის ფართო საზოგადოებისთვის გაზიარების მიზნით სემინარების/ ტრენინგების/ ვორქ შოფების ჩატარება/ ჩატარების ხელშეწყობა (მინიმუმ 4 ტრენინგი წელიწადში, საშუალოდ 50 პროფესორ-მასწავლებლის გადამზადება);

9. უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების (წელიწადში ორჯერ კვლევის ჩატარება პროფესორ-მასწავლებელთა გადამზადებისათვის საჭიროებათა გამოსავლენად)/ პროექტების განხორციელების ხელშეწყობა/ მოძიება, უნივერსიტეტში არსებული რესურსების აკუმულირების და მათი ეფექტური გამოყენების გეგმების მომზადება და შეთავაზება უნივერსიტეტის/ ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის;

10. უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ შემოთავაზებული ინოვაციური პროექტების განხორციელებისათვის მხარდაჭერა;

11. საბიბლიოთეკო ელექტრონული და ბეჭდური რესურსების ეფექტური გამოყენების ხელსეწყობა;

12. პროფესორ-მასწავლებლებს შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარება;

13. ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობების ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წინაშე.

14. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან შესაბამისი პროექტების განხორციელებისათვის დაფინანსების მოპოვება;

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრი არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომლის შემადგენლობაში შედის: ცენტრის ხელმძღვანელი, ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და მდივანი.

1.1. ცენტრის ხელმძღვანელი:

- წარმართავს ცენტრის საქმიანობას უნივერსიტეტის წესდებისა და ცენტრის დებულების შესაბამისად;
- ახორციელებს ცენტრის საქმიანობის კოორდინაციას;
- ანაწილებს სმოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს სშორის;
- უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრის მიერ მომზადებულ პროექტებს;
- წარდგინებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს ტრენერების მოწვევის შესახებ;
- აწარმოებს ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტების შედეგად მიღწეული შედეგების ანალიზს;
- წარმოადგენს ცენტრს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან და საგანმანათლებლო ერთეულებთან;
- ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებთან შესაბამისობაში მოიყვანოს ცენტრის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

1.1.1. ცენტრის ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

1.2. ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი:

- ცენტრის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შეფასებისა და თვითშეფასების მიზნით ცენტრში იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც წარმოდგენილია ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სახით. იგი მონიტორინგს უწევს ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობების ხარისხს, მათი დაგეგმვის, ფორმირებისა და განხორციელების პროცესს. შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს ცენტრის მიერ დაგეგმილი აქტივობების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
- უზრუნველყოფს ცენტრის მიერ მომზადებული ტრენინგ-კურსებისა და პროექტების განხორციელების შეფასების მექანიზმების შემუშავებასა და მონიტორინგს;
- ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ანგარიშ ვალდებულია ცენტრის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინაშე.
- ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

1.3. ცენტრის მდივანი:

- ასისტირებას უწევს ცენტრის ხელმძღვანელს და ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს საქმიანობის გამართულად წარმართვის მიზნით;
- ასრულებს ცენტრის ხელმძღვანელისა და ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მითითებებს ცენტრის კომპეტენციის
- ფარგლებში მისაღწევი მიზნებიდან გამომდინარე;
- კანონმდებლობის თანახმად აწარმოებს საკანცელარიო და საოფისე საქმიანობას;
- ცენტრის მდივანს ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

1. ყოველწლიურად ცენტრი წარუდგენს საქმიანობის შესახებ ანგარიშს უნივერსიტეტის რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, აკადემიურსაბჭოს, წარმომადგენლობითსაბჭოსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3.ცენტრის ფუნქციონირების შეწყვეტაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო;

4.დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე.

შენიშვნა: კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ, გაიცემა სერთიფიკატი.

დანართი 1. პროფესორ-მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო

გეგმა 2019 წლისთვის

კურსის/ტრენინგის სახელწოდება	ავტორი/ტრენერი	ჩატარების თარიღები	კურსის/ტრენინგის მოკლე აღერილობა და მოცულობა ECTS - კრედიტებში	მიზანი	შედეგები	სამიზნე ჯგუფი	კურსზე/ტრენინგზე დასწრების წინაპირობა	სავალდებულო ლიტერატურა/ტექნიკური აღჭურვილობა	ბენეფიციარების მაქსიმალური რაოდენობა	კურსის/ტრენინგის საფასური
Blended/Hybrid learning	Tamar Mikeladze	January 20-February 10	the role of the teacher in online courses, online learning environment and portfolios, multimedia production, operating with online project management tools	Introduce modern and innovative learning method according to the teachers' need analysis	Trainees will have understanding of this new approach and its importance; be able to define what this approach encompasses; be able to apply in practice the acquired knowledge	Teachers, lecturers	Knowledge of English and IT skills	Internet access, tablets, PCs, laptops, Software	25	N/A
Videos as a learning tool for teachers and students	Ana Gigauri, Shalva Tchakadua	რეგისტრაცია და სამოტივაციო წერილების მიღება: 20.12.2018-	ტრენინგი ეხება: პროფესორ-მასწავლებლების მიერ ვიდეოს, როგორც სასწავლო მასალის, პრაქტიკულ	ტრენინგის მიზანია ბენეფიციარებს განუვითაროს საკუთარი ვიდეოს	კურსდამთავრებულებს აქვთ ვიდეოს შექმნისა და სწავლების	ლექტორები	წინაპირობა არ აქვს, აპლიკანტთა შერჩევა მოხდება სამოტივაციო წერილების	Hardware requirement list: <ul style="list-style-type: none"> • Computer with Windows 7 and above (32 and 64 bit) Mac OSX 10.6 and above • Processor (min): Intel i3 2.5GHz 	30	არ აქვს

		08.01.2019; კურსი განხორციელდება 2019 წლის 16-29 მარტს	გამოყენებას სწავლების პროცესში; ვიდეოს მომზადების ხერხებს და საშუალებებს (2 ECTS).	შექმის და საკლასო ოთახში მისი ეფექტურად გამოყენების უნარჩვევები.	მიზნით მისი ეფექტურად გამოყენების უნარი.		საფუძველზე	<ul style="list-style-type: none"> • Memory 2GB RAM Storage available (min): 5Gb • Microsoft PowerPoint 2003 and above (only if recording presentations) • Apple Keynote 2008 and above (only if recording presentations) • In-built camera and microphone (optional external usb camera and microphone). 		
Active learning in the Flipped Classroom	Ia Jimshitash vili	რეგისტრაცია და სამოტივაციო წერილების მიღება: 20.12.2018-08.01.2019; კურსი განხორციელდება 2019 წლის 04-15 Tebervali	ტრენინგი ეხება: პროფესორ-მასწავლებლების მიერ აუდიო და ვიდეო მასალის, როგორც სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწლის, პრაქტიკულ გამოყენებას სწავლების პროცესში (2 ECTS).	ტრენინგის მიზანია ბენეფიციარებს განუვითაროს საკუთარი აუდიო და ვიდეო საშუალებების შექმის და საკლასო ოთახში მისი ეფექტურად გამოყენების უნარჩვევები.	კურსდამთავრებულებს აქვთ აუდიო-ვიდეო მასალის შექმნისა და სწავლების მიზნით მისი ეფექტურად გამოყენების უნარი.	ლექტორები	წინაპირობა არ აქვს, აპლიკანტთა შერჩევა მოხდება სამოტივაციო წერილების საფუძველზე	Hardware requirement list: <ul style="list-style-type: none"> • Computer with Windows 7 and above (32 and 64 bit) Mac OSX 10.6 and above • Processor (min): Intel i3 2.5GHz • Memory 2GB RAM • Microsoft PowerPoint 2003 and above (only if recording presentations) • Apple Keynote 2008 and above (only if recording presentations) • In-built camera and microphone (optional 	30	-

								external usb camera and microphone).		
3. Active Learning: Technology Enhanced Collaborative Learning	Nino Dzumukas hvili	Application and Statement of Purpose to be submitted from 22.12.2018-10.01.2019 Date of training: 18.03.2019-31.03.2019	Active learning with students' increased involvement in the leaning process with special focus on technology enhanced collaborative learning (2 ECTS)	Stimulate deeper learning process through active learning, encourage trainees to use technology more widely for greater efficiency	The trainees will be able to get better familiarized with and adapted to active leaning by employing modern technology enhanced collaborativ e learning	Lecturers	Selection of trainees will be based on statement of purpose	Internet access, laptops, PCs, tablets, software.	25-30	N/A
Active Learning and ICT-enhanced teaching: M-learning and gamification	Maya Gonashvili	Application and Statement of Purpose to be submitted from 24.12.2018-13.01.2019 Date of training: 15.02.2019-28.02.2019	ტრენინგი ეხება: პროფესორ-მასწავლებლების მიერ სწავლების აქტიური მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას (მათ შორის: gamification, sli.do, pecha-kucha, kahoot, და სხვა მასალის /აუდიო	ტრენინგის მიზანია ბენეფიციარებს განუვითაროს წავლების აქტიური ტექნოლოგიების გამოყენება, სწავლების საკუთარი მასალის	კურსდამთავრებულებს აქვთ სწავლების აქტიური მეთოდები სა და ტექნოლოგიების სწავლების მიზნით მისი ეფექტურა	Lecturers	Selection of trainees will be based on statement of purpose	Internet access, laptops, Mobile; PCs, tablets, software.	20	N/A

			და ვიდეო/ როგორც სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწლის, პრაქტიკულ გამოყენებას სწავლების პროცესში (2 ECTS).	შექმის და საკლასო ოთახში მისი ეფექტურად გამოყენების უნარჩვევები.	დ გამოყენები ს უნარი.					
--	--	--	---	---	-----------------------------	--	--	--	--	--